

ბათუმის  
ბიზნეს-ცენტრი

# სამაგისტრო



ნახ. ს. ნადარეიშვილისა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ველზე მილი ონზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგეს, გერმანელმა უცხოელებმა, მაინც ვერ განახორციელეს საბჭოთა კავშირზე ელვისებური ლაშქრობის გეგმა.


ჰიტლერი: — ამდენ მასალას ვაწვდი ცეცხლს და აღი მაინც მიზანს ვერ აღწევს...

2/11/11

310

მუსოლინიმა იტალიელ ჯარისკაცებს მიმართა შემდეგი დარიგებით: იმედი მაქვს რომ ახალ ფრონტებზე ისეთივე მიღწევებით იბრძოლებთ, როგორც იბრძოდით სხვა ფრონტებზე წინათ.

საქართველო  
საქართველო



მძლე ფოლადის მარჯუნს დასწვდა ორი ქვეყნის მტკიცე ხელი, — გასრესას ვერ გადურჩება ეს მხოხავი საძაგელი.



პირველი: — რას მიქარავს ეს მუსოლინი, აბისინიაში ცხვირი მოგვტენეს, ლიბიაში ტყავი გაგვაძრეს, ალბანეთში კუდით ქვა გვასროლინეს.

მეორე — ოღონდაც, თუ წითლებთან ისეთივე წარმატებები დაგვიჩა, როგორც დღემდე გვქონდა, მაშინ ჩვენგან სოველი ადგილის მეტი არაფერი დარჩება.

### ქალღი და ჭოპოსანი

ერთ ავ ქოფაკს ჯაჭვით დაბმულს — შემოაკლდა სალაფავი, და სისხლის სუნს შეჩვეულსა გაეტენა ბრაზით თავი, ბრაზმა სისხლი აუმღვრია, ფიქრით ტვინი ვაიცვითა, გამოსავალს უწყო ძებნა და თვის გულში გადასწყვიტა: „მე ამ ოლქის ყველა ეზო მორთული და მოწყობილი მსურს ვადიქცეს სახრავ ძვალად, რომ ზედ მედგას ბასრი კბილი, თორემ რას გავს? მადა მაქვს და თან უზომოდ მინდა ძლომა, მაგრამ მზლუდავს დადგენილი რაღაც წესი, რაღაც ზომა. მე არ მომწონს, მე სისხლი მსურს...“ და ბრაზით გონდაკარგულმა, აიწყვიტა იმ ქოფაკმა ეზოს კარზე გამობმულმა, აქეთ ეცა, იქით ეცა, ბევრგან კარიც შეამტვრია, და ვინც ნახა, კბილთა ღრჭენით დასაცოფად დაერია. ბოლოს ერთ დიდ სამკედლოში სარკმელიდან შეიჭრა და შიგ მდებარე ჭოპოსანის მან გამოხვრა კბილით სცადა, სცადა... კბენით ვერას გახდა, შემდეგ ხორკლზე გაჭრა ენა, და დაშაშრულ ენის წვერზე, ქოფაკს სისხლმა უწყო დენა. — „ბიჭოს სისხლი! აი, რა მსურს“, — გაიფიქრა ცოფით მთვრალმა, და დაუწყო ჭოპოსანსა ღრღნა და ლოკვა იმ წუნკალმა. ხარბად, თავის დაუზოგველად, აღზნებულად, გულის წვითა, იმ ჭოპოსანს თვისი ენა შეაჭრა და შეაცვითა და როს მწვავე ტკივილისგან დაეხლაქნა მას რბილძვალი, მაშინ იგრძნო, რომ საკუთარ სისხლში იყო ამომხრავალი. „ვაი თავო, რათ ვერ მივხვდი“ ფიქრობდა ის განაწბილი, „რას დააკლებს ფოლადის ქლიბს ცოფიანი ძაღლის კბილი?“

მაგრამ უკვე გვიან იყო, სინანულის შიშით თრთოლა, ის ქოფაკი საკუთარმა ცოფმა თვითვე გადიყოლა.

ეს იგავი ძველ დროიდან გადმოსული სათხრობელად, დღესაც ისევ იმავე წესით მეორდება უეჭველად: მეორდება შავ ფაშიზმის მიერ გაზრდილ ნაგაზისგან — ჰიტლერია მის სახელი, (ვინ არ იცნობს იმ საზიზღარს?) ამ ცოფით მთვრალ, ძველ ქოფაკსაც ევიწროვა მისი ეზო, ხალხთა მოდგმას მოუხანა „მიზეზები“ სამიზეზო, და ისურვა, რომ მსოფლიო სახრავ ძვალად გაიხადოს, და სისხლისმსმელ სიხარბითა ზედ კბილების დადგმა სცადოს. აიწყვიტა საბმურიდან, ბევრგან კარიც შეხსნა განა, და შიგ ცეცხლი და მახვილი და ბორკილი შეიტანა, გაძარცვა და შთანთქა მათი მონაგარი, ნახელავი, მაგრამ მაინც უძლებ ქოფაკს ვერ აძლებდა სალაფავი, და აი, როს მის გონება ბრაზმა სულ მთლად დააფეთა, ჩვენს სამკედლოს ფანჯარაში ბრმა ნახტომი გააკეთა. მაგრამ აჰა, ჩვენს ფოლადზე, როცა კბილის სინჯვა სცადა, ყბაჩატეხილს, ენაწათლილს — ეკარგება ძაღლის მადა. მაგრამ განა მარტო მადა? — კიდევ ერთი დარტყმა ჩვენი, და მის თავზე აღსრულდება ბედის მკაცრი განაჩენი: ჩვენის ხელით მტვრად ქცეული, წელმოტეხილ-გაჭეჭილი ის ცოფიანი თავს დაჰკარგავს, საყაჩაღოდ შემოჭრილი და ახდება მასზე ისე ეს იგავი ძველისძველი, რომ იმ ქოფაკ ძაღლის ბედიც, ჰქონდეს მუდამ სანატრელი.

ფარსადანი

ქალაქი სიბნელეშია გახვეული. თითქოს ყველას ძინავს. ნამდვილად კი ყველაფერი თავისი წესით მიდის: ფაბრიკებსა და დაწესებულებებში გაცხარებული მუშაობაა, ქუჩებში ჩვეულებრივი მოძრაობა, სახლებში ჩვეულებრივი ცხოვრება.

შუქშენილბვის დროს, როგორც წესია, გარეთ შუქი არ უნდა იყოს, რომ ცბიერმა და ვერაგმა მტერმა არ გამოიყენოს იგი.

ეს კარგად ესმის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, რომელიც შეგნებულად და მტკიცედ იცავს შუქშენილბვის წესებს.

გამონაკლისი, სამწუხაროდ, აქაც არის. ზოგს კიდევ ვერ გადაუგდია მშვიდობიანი დროის უღარდებლობა:

აგერ, პირველი სართულის ერთი კუთხიდან სინათლე მოსჩანს. — ჩააქრეთ, სინათლე! — უბრაახუნებენ უღარდელს.

შიგნიდან ჩამი-ჩუმი არ ისმის.

— სინათლე! სინათლე ჩააქრეთ!

— ვინ არის? რის სინათლე! — მოისმის ბოლოს უღარდელადისაგან. იგი ფანჯარას აღებს და თავს გადმოჰყოფს. მის უტვინო თავთან ერთად გარეთ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოდის შუქი.

— თქვენ გეუბნებიან, შუქი ჩააქრეთ!

— შუქი? მაგრამ რომ არ მეძინება ჯერ?

— ძილი რა შუაშია. არ იცით, რომ შუქშენილბვაა?

— უი, ღმერთო მომკალი... სულ არ დამავიწყდა!.. ახლავე... წარმოიდგინეთ გვიან დაებრუნდი მუშტაიდიდან და გაუხდელად წამოვწეჭი... წარმოიდგინეთ, იმდენი ხალხი იყო მუშტაიდში და არც ერთმა არაფერი მითხრა. ამას წინათ, სხვათა შორის...

— ახლავე ჩააქრეთ შუქი, თქვენი ლაყბობისათვის არა გვცალიან. ჩაიცივით...

— მე უკვე ჩაცმული ვარ.

— მით უკეთესი: წამობრძანდით მილიციის უბანში.

უღარდელაძეს ვითომ არ ესმის:

— კი, მაგრამ, ამ შუალამისას მილიციის შეწუხება...


— არა უშავს, არ შეწუხდებიან. ჩქარა, ჩქარა!

უღარდელაძე ერთობ უხალისოდ კეტავს კარებს და მიჰყვება.

— ბევრია დარღვევის შემთხვევები? — მეგობრულ მასლაათში კითხულობს იგი.

— საბედნიეროდ, ძალიან იშვიათი. მოსახლეობას კარგად ესმის შუქშენილბვის მნიშვნელობა.

— ეს ძალიან სასიამოვნოა, — კმაყოფილებით ამბობს უღარდელაძე. — იმავე წუთს ფეხს წაიკრავს რაღაცაზე, წაიკრავს და გაიშლარბება.



სადაც ბილწი ფეხი შესდგა, მან მზის შუქი დააბნელა, და აღმართა ხალხებისთვის მონობა და სახარჩობელა.

მაგრამ ვერავს არ შევარჩინო, და ჩვენ ამას ვალად ვიდებთ, რომ მისივე სახარჩობელის ძელზე მასვე ჩამოვკიდებთ.

— დასწყევლოს ღმერთმა, ოცი წელიწადია, ამ ქუჩაზე დავდივარ და მაინც ვერ დავიხსომე, რომ აქ ასასვლელი საფეხურია...

გამყოლი იღიმება (თუმცა უღარდელაძე ამას ვერ ხედავს):

— ესეც ალბად თქვენი უღარდებლობით მოგლით. შეიძლება მაგაზე მეტიც მოგივიდეთ.

— რასაკვირველია, მოულოდნელობას უნდა მოელოდეს კაცი... ამას წინათ ერთი ადგილიდან მოვდიოდით, — ჰყვება იგი, თან პაპიროსს იღებს და ასანთს გაჰკრავს, რის გამოც კუთხე ნათდება.

— რას სჩადიხართ! — უყვირის გამყოლი და მყისვე უქრობს ასანთს.

— როგორ, ქუჩაში პაპიროსის მოწევა არ შეიძლება? პირველი გაგონებაა...

— რა თქმა უნდა, არ შეიძლება! თქვენ რა, გუშინ დაიბადეთ? დაუჩქარეთ, იქ ავიხსნიან ყველაფერს.

და უღარდელაძე შეჰყავთ სამილიციო უბანში, რათა დაწვრილებით გამოარკვიონ, მას ეს დარღვევები მართლა უღარდებლობით მოსდის, თუ სხვა რაიმე მოსაზრებებით.

შუქშენილბვა კი გრძელდება. ქალაქი საიმედოდ არის დაცული. მისი მოქალაქენი ფხიზლობენ, მუშაობენ, შემოქმედებითი შრომას ეწევიან რათა ყოველმხრივ მომზადებულნი იყვნენ და დაუყოვნებლივ შემუსრონ ვერაგი მტერი.

ალ. მაღულარია.



1. ფაშისტთა „რაინდი“ საბჭოთა  
კავშირთან ომის დაწყებამდე

ხედავთ ამ მხეცს!? ის ტრაბახობს:  
„ვინ გაგვიძღვებს არიელებს?  
მთელ მსოფლიოს დავიმონებთ,  
გავასწორებთ მთებს და ველებს“.



2. იგივე „რაინდი“ ომის  
დაწყების შემდეგ

მაგრამ, აი, ეს „რაინდი“  
რაოდენად შეიცვალა!  
როცა იგრძნო ჩვენი ხალხის  
დაგუბებულ რისხვის ძალა

გერმანელი ფაშისტები იტაცებენ პოლონელთა  
ქონებას.  
ფაშისტებმა გერმანელებს აუკრძალეს პოლონე-  
ლების ხელის ჩამორთმევა.

ესე ბრძანება ფაშისტურ მორალს  
უეჭველია გვამცნობს, გვიმარტავს,  
მაგრამ მორალზე უფრო ფაშისტთა  
პრაქტიკულ ნიჭს და უნარს გვიხატავს.  
როდესაც ხელებს ნაძარცვის ზიდვით  
კანი ძვრება და ღონე ეცლება  
გადარცულ რასის ხელის სართმევად  
დროს სად იშოვის, სად მოეცლება.

სისხლი და ხელები

„მე მოვიტხოვ, რომ არიული სისხლი წმინდა იყოს“  
(პიტლერის „ჩემი ბრძოლა“)

მას თავი მოაქვს ახალ მესიად  
რასიულ ბოდვით თვის გულს ახელებს  
ეტრფის „წმინდა სისხლს“ აზნაურისას  
და ხალხთა სისხლში ამოსვრილ ხელებს.

უპრისძიება

ტიროლში (ავსტრიაში) გლეხებმა სცემეს გერმა-  
ნელ მოიერიშეებს ეჭლეხების დანგრევსა და გა-  
ძარცვის გამო.

„უწმინდურ“ რასას როს ავსტრიაში  
წაართვეს განძი „გრძნობაქველებმა“,  
წმინდა ტაძრების დაიწყეს ძარცვა  
„წმინდა“ სისხლისვე „არიელებმა“.

მაგრამ თვით ხალხმა განრისხებულმა  
ისე დაზილა მათი გვერდები,  
რომ ვერ განკურნავს მას მუსოლინი,  
ვერც ვატიკანი ლოცვა-ვედრებით.

უეზარი ნამალი

რუმინეთის მთავრობის თავმჯდომარემ გენერალმა  
ანტონესკუმ მოუწოდა დაპატიმრებულ ქურდებს,  
ჯიბგირებს, კონტრაბანდისტებს და სხვა ასეთი ხა-  
სიათის დამნაშავეებს, რათა ისინი ჩაეწერონ რუმი-  
ნელთა ლაშქარში სსრკ-ს წინააღმდეგ საბრძოლ-  
ველად.

რუმინეთის ხალხს უმუხთლა  
ომში ძმა მოძმეს წაჰკიდა  
და ანტონესკუმ ქვეყანა  
პიტლერის ვერცხლზე გაჰყიდა.

მისი ბრძანებით შეკრიბა  
ჩვენთან სალაშქრო სპანია,  
ჩვენმა ჯარებმა გარეკეს,  
სდევნეს, აკვეცეს თმანია.

არ დარჩენილა მომხდურთვან  
მტერი ამბისა მთხრობელი,  
თვით ანტონესკუმ ძლივს იხსნა  
თავი ბედისა მგმობელი.

ფრონტის სარდლობა დაჰკარგა,  
დაჰკარგა თვისი ჯარები,  
ვერ შეარყია, ოდნავად  
კავშირის მიჯნის კარები.

მაინც ყოყოჩობს „რაინდი“  
როგორც ტანჩია მამალი  
და ძლევის მოსაპოებლად  
კვლავ მოიგონა „წამალი“:

ქურვით შეკაზმა ხომალდი,  
ზედ ზარბაზნები დაჰკიდა,  
შიგ ჩასხა... ქურდთა ლაშქარი.  
მრავალ წყალობას დაჰპირდა.

მედუზა

# უოგო-ნათითხნი

„გერმანული პროპაგანდის ობერ-ყალთახანდები იუწყებიან, რომ კაუნასში მათ იპოვეს 1.100 მოკლული კათოლიკე მღვდელი“.

## გაზეთებიდან

გერმანელი ყაჩაღების შტაბიდან, რომელიც მათ მიერ გაძარცვულ ქალაქში იყო მოთავსებული, ყვირილი მოისმოდა.

ყვიროდა არაყით ტვინგაბრუებული გენერალი ბარონ მუტრუკ-ჰაუზენი.

— შე თქვენ დაგხვრეტთ ბატონო ოფიცერო, ესე იგი შე თქვენ ჩამოგახრჩობთ!.. — ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა გენერალი.

— მეტი ვერ შევავროვე. მთელი ქალაქი მოვიარე. ერთ უბანში მცემეს კიდეც!..

— თქვენ გავიწყდებათ, ბატონო ოფიცერო, რომ ჩვენ ვემსახურებით ცივილიზაციის საქმეს, რათა გადავარჩინოთ კაცობრიობა ბოლშევიკებისაგან. თქვენ დავალებული გქონდათ მოგეყვანათ ხუთასი.

— კი მაგრამ დიდს გაჭირვებით შევავროვე ხუთმეტი. ამ ხუთმეტში ათი ნამდვილი მღვდელია ხუთი კი დიაკვანი!

შტაბის წინ პატარა მოედანზე მართლაც მოერეკათ ოციოდე მღვდელი, რომლებიც ხელფეხშეკრულნი ეყარნენ მიწაზე, გაკვირვებული იყვნენ თავიანთი ბედით და ოხრავდნენ.

— იყურეთ მღვდლებო, მოითმინეთ, ვითარცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მოითმინა და ჯვარს ეცვა ჩვენთვის და მრავალთათვის მისატყვევებლად ცოდვათ! — თითქმის ღლინით სიტყვა მღვდელთ-მთავარმა.

— იესო ქრისტე, თქვენო უწმინდესობავ, ღმერთი იყო... მართალია ჯვარს ეცვა, მარა მერე ქე აღსდგა. მე რომ ჯვარზე მაცვან მაშინვე სულს გავაცხებ. შე შენ გეტყვი ქრისტესავით არ აღვსდგე მესამე დღეს!..

ხელფეხშეკრულ მღვდლებს საუბარი დამთავრებული არ ჰქონდათ, როცა გენერალი გამობრძანდა შტაბიდან და მღვდლებს გადმოხვდა. იგი სასტიკად გაუწყრა ოფიცერებს.

— როგორ გაბედეთ ამ წმინდა ხალხისათვის ხელფეხის შეკვრა!.. ჩვენ ხომ ბოლშევიკები არ ვართ!.. — აღრიალდა გენერალი და ბრძანება გასცა მღვდლებისათვის ხელფეხი გაეხსნათ. სიხარულმა მოიცივა საბრალო მღვდლების გული.

— სიხუმე! — დაიყვირა გენერალმა, — პატივცემულო წმინდა მამებო, თქვენ იცით, რომ ბოლშევიკები ულეტენ ხალხს. მათ ყველაზე უფრო არ უყვართ სამღვდლოება, რადგან არა სწამთ იესო ქრისტე, გწყალობდეთ მისი მადლი.

— ამინ! — შესძახეს მღვდლებმა.

— ამიტომ საჭიროა, — განაგრძო ისევ გენერალმა, — მთელს მსოფლიოს თვალნათლივ ვუჩვენოთ, თუ როგორ უსწორდებიან ისინი სამღვდლოებას, თუ როგორ ხვრეტენ მათ, სჭრიან თავებს, ხოლო საიდან გაიგებს ყველაფერ ამას ცივილიზებული კაცობრიობა თუ კი არ მივაწოდებთ ცოცხალ ფოტოსურათებს?!

— მართალია, მართალი... (ფოტოსურათები თუ არ მივაწოდებთ ვერავინ გაიგებს! — წამოიყვირა ცბიერმა ოფიცერმა.

— დაახ, — განაგრძო ისევ გენერალმა, — მაგრამ სად ვიშოვოთ ჩვენ ასე უცებ დახვრეტილი, თავმოჭრილი მღვდლები, რათა საჩქაროდ გადავიღოთ მათი ფოტოსურათები? რა თქმა უნდა, ასეთს ვერ ვიშოვით... ამიტომ თქვენ, წმინდა მამებო, უნდა დაეხმაროთ ჩვენს პროპაგანდას ბოლშევიკების ბარბაროსობის გამომჟღავნებაში.

— კი მაგრამ, როგორ! — იკითხა შეშინებულმა მღვდელთმთავარმა.

აი როგორ წმინდაო მამაო ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს დაგხვრიტოთ თქვენ, მოგჭრათ თავები და გადავიღოთ ფოტოსურათები. ჩვენ ამ ოპერაციას ჩავატარებთ სწრაფად და საიდუმლოდ... თქვენ ამით დიდ სამსახურს გაუწევთ ჩვენს პროპაგანდას. გარდა ამისა გაიხსენეთ სამოთხე, სადაც თქვენ მოგვლით საუკუნო სასუფეველი.

— რა დავაშავეთ, რად გვსჯით ასე სასტიკად!

— ჩვენ არ დავსჯიდით, მაგრამ ბოლშევიკების წინააღმდეგ მასალა გვჭირდება.



## ყუბაჩუხის წვიამა ათქაჰინა

— აკი გეუბნებოდით ჰერ, საბჭოთა კავშირში აუტანელი ატმოსფერაა.  
— ახლა მეც დავრწმუნდი, რომ ჩვენთვის მართლაც აუტანელია.

## ქათმის ანდერძი

ჰიტლერის განკარგულებით ჩვენთვის დაბეგრული იქნა ქათმები.

„პიონერსკაია პრავდა“.

• ამ სიტყვებზე გენერალმა ხელით ანიშნა ოფიცერს და მყისვე აკაცანდა ტყვიამფრქვევი. ხუთმეტამდე მღვდელი უსულოდ დაეცა. ათ წუთში მზად იყო „ფოტო-დოკუმენტები“ და წარწერები „ბოლშევიკების ბარბაროსობის“ შესახებ.

— რამდენია სულ დახვრეტილი და თავმოჭრილი? — იკითხა გენერალმა.

— იქნება ასე ასამდე.

— მკერდზე ჯვარი ყველას ამოუწვიოთ!

— ყველას.

— დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ფოტო-დოკუმენტები ბერლინში გებელსის სახელზე. ჩასწერეთ, რომ ჩვენ წავაწყვდით დახოცილ 1.100 მღვდელს.

მალე გერმანულ გაზეთებში მკითხველი ათვალიერებდა ფოტო-ნათითხნს ბოლშევიკების „მხეცობის“ შესახებ.

უცხოურმა გაზეთებმა ეს სურათები მოათავსეს შენიშვნით: „არ დაუჯეროთ წარწერას, რომელიც გებელსის თხზულებაა“...

ასე მზადდება „უტყუარი“ ინფორმაციები გებელსის დაბრკაში.

გენო. ლიაჰე

ი. სინარულიძე

# გერმანია

ბელგიამ, გერმანიასთან დადებული ხელშეკრულების ვარანტიის ანგარიშში ერთნახევარი მილიარდი ფრანკი შეიტანა. გერმანია შენატანს არაფრით არ ჰფარავს.

ნახ. დონისა.

გაზეთებიდან



— ჩვენთან ხელშეკრულების საგარანტიოთ ბელგიას დღემდე წესიერად შემოაქვს თანხები, მაგრამ თუ ჩვენგან აღარაფერს მიიღებს რა გარანტიაა, რომ კვლავ შემოიტანს?


— დარდი ნუ გაქვს! აი გარანტია!

# სანაგვე ყუთის ექსპონატი

პიტლერი აცხადებს, რომ მან გამონახა რამოდენიმე კანდიდატი რუსეთის სამეფო ტახტზე დასასმელად.

ნახ. რ. გორდელაძისა

გაზეთებიდან



სანაგვეში ხარახურის ქექვა იწყო ზრუნვით მანა და სურს „მეფე“ ტიკინები გააკეთოს იმათგანა.

ამაოა ამ გიჟისგან განწირული ტეხვა კისრის, ჩვენი დარტყმა, მალე თვით მას ნაგვის ყუთში გადაისვრის.

# პარტიზანებთან

პარტიზანები ტყეში ისხდნენ და საუბრობდნენ. მათი ლაპარაკის თემა იყო ჩვეულებრივი: ყოველდღიური ბრძოლის ეპიზოდები.

— ჰო, მერე, მერე? — ჰკითხეს ერთს, დაბალი ტანის, გამხდარ მოხუცს. დამიტირეს. რა გინდა ჰქნა? ისე ბნელა, რომ თვალში თითს ვერ მიიტან. გარშემო ტყეა, ირგვლივ ჰანსები და მანსები დაეხეტებიან. ეს უიარაღო ბერიკაცი გომურში ვარ გამომწყვდეული. იქვე ახლოს, სადგურიდან, მატარებლის ქშენა მესმის. ვიცი, რაც მატარებელია: ფაშისტებით და მათი ტყვიანობითა დატვირთული.

— ჰაი, დედასა... — ამბობს ერთი.

— მეც მაგას ვიძახდი, მაგრამ გომურში რა ვაქაცობას გამოიჩენ. რალაც ეშმაკად ჩემი ძალღი მგელიკაც დავკარგე, სულ ჩემთან იყო, იმ საღამოს კი ტყეში რალაცას დაედევნა. უცებ, კარებთან ვილაც მოვიდა და გაჩერდა. შემდეგ გომურს შემოუარა და ისევ კარებთან დადგა. ვიფიქრე, ახლა კი მშვიდობით, შვილებო და შვილიშვილებო მეთქი. ვუყურებ — ვილაც აფხაჭუნებს. „რომელი ხარ?“ — ვეძახი. ბიჭოს, წკმუტუნნი მესმის. აშკარაა, ჩემი მგელიკაა მივედი და ქვეშიდან ხელი გავყავი. მგელიკა ზედ მეცა და მილოკავს. „მიშველე, მგელიკა!“ — ჩუმად ვეუბნები და ხელით ვფოფავ მიწას. ეს კი უნდა გითხრათ, ყმაწვილებო, რომ მაგისთანა გამოცდილი ძალღი ჩვენს კუთხეში არ არის. მაშინვე შეუღლა გამოთხრას. აქედან მე ვეხმარები...

— უჰ, ვენაცვალე!...

— ჰოდა, ნახევარ საათში მე უკვე გარეთ ვიყავი... კარგია პატარა ტანის კაცი... ხოხვით წავედით და გავედით სამშვიდობოს.

— მერე, მერე?

— მერე აღარაა საინტერესო: მოგნახე ჩემი ხელყუმბარების

შეკვრა და სადგურისაკენ დაებრუნდი. მგელიკა წინ მიმიძღვის. გავცილდით სემაფორს და ორიოდ კილომეტრი კიდევ ვიარეთ. გაჩერდით. აქ უნდა გამოიაროს იმ შეჩვენებულების მატარებელმა... გამოვფოფეთ მე და მგელიკამ ლიანდაგის მიწა და ერთი შეკვრა ხელყუმბარები შიგ ჩავაწყეთ. ჩავაწყეთ და უკანვე დაებრუნდით, სემაფორისაკენ. იქაც გამოვთხარეთ, ოღონდ ყუმბარები არ ჩაგვიწყვია. ვდგევართ და ვუცდით, ხეებს ამოფარებულნი. გრუხუნით წამოვიდა მატარებელი. დიდა, მძიმე, ორი ორთქლმავალი წინ აქვს, ორი უკან. ჩაგვიქროლა და ერთი წუთის შემდეგ აფეთქდა წინა ნაწილი...

— გენაცვალე!...

— მეც მაგრე დავიძახე: „გენაცვალეთ, ჩემო ხელყუმბარებო!“ მეთქი და მეორე შეკვრა ამ მეორე გამოთხრილში ჩავაწყვე. და გავიქეცი. მართლაც უკანა ორთქლმავლებმა გადარჩენილი ვაგონები უკანვე დააბრუნეს და როცა ჩემს ხელყუმბარებთან მოაღწიეს, ისინიც ცოტა აფეთქდნენ... ესე იგი, ალი ცაში ავარდა... მე და მგელიკას აღარ დაგვიცდია: აღარ იყო საინტერესო...

მოხუცს ეხვევიან, ჰკონიან, ულოცავენ. იგი ჯიბეში ეძებს რალაცას და შემდეგ გაჯავრებით ამბობს:

— ჰო, ვიცოდო, რალაც მეწყინებოდა.. მარცხენა წარბი მიხამხამებდა... — ამბობს ის.

— რა იყო, ძია?

— რა იყო და ჯანაბა მაგ ძაღლების თავს.. ამდენ ხოხვასა და სირბილში ჩიბუხი დამკარგვია... — ბუზღუნებს გმირი მოხუცი.

მას დაუყოვნებლივ აწვდიან ახალ, თუთუნით გატენილ ყალიონს და თან ეშმაკურად უსაყვედურებენ, რომ ასე დაუდევრად ეპყრობა პარტიზანულ ქონებას.

# ერთ გულში გეოზნი

„ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაწილში, 300.000 კაცი შიმშილობს. მთელ რიგ ქალაქების მოსახლეობა ყვავითა და მეთოლით იკვებება“. გაზეთებიდან



შვავი — რა დღე დაგვიდგა, ფაშისტების მეოხებით ორივე ერთ ტაფაში ვიწვით.  
მეთოლია — მეც მაგას ვჩივი, მეგობარო.

გერმანიის განთქმული რესტორანი „გესტაპო“ აცხადებს, რომ გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში: ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, დანიაში, საბერძნეთში, პოლონეთში, რუმინეთში, ფინეთში და სხვა დაპყრობილ ქვეყნებში გახსნილია გესტაპოს ფილიალი.

### „გესფილიალი“

ყოველდღიურად მზადდება გემრიელი სადილები „არა არიელ“ ადამიანების ხორცისა და სისხლისაგან გამოცდილი არიელ კულინარების ხელმძღვანელობით.

რესტორან გესტაპოს მმართველი-გამოცდილი და დამსახურებული კულინარი, სასაკლავოს დამსახურებული მოღვაწე.

ჰიმლერი

# საინფორმაციო კუთხე

გერმანიის ჯორიკანობის და ლაყბობის უმაღლესი ინსტიტუტის დირექცია ამით აცხადებს, რომ გერმანიის რეისერში ყოველდღიურად ხდება დისერტაციის დაცვა შემდეგ თემაზე:

### „გავანადგუროთ სიმართლე“

ოფიციალურ ოპონენტებთან მოწვეული არიან სისხლის მსმელთა და კაცთა ჟღერის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ჰიტლერი, „სიმართლის მტერის“ ფილოსოფიის კათედრათა განყოფილების პროფესორი ჰიმლერი. „ხალხზე ნადირობის“ მოყვარულ საზოგადოების თა-რე პროფესორი გერინგი.

აღნიშნული ნაშრომის გაცნობა შეიძლება მთელს მსოფლიოში.


გერმანიის, ჯორიკანობის და ლაყბობის უმაღლესი ინსტიტუტის რექტორი, — ჯორიკანობის და ლაყბობის მეცნიერებათა დამსახურებული კანდიდატი.

აპალონ ჰებელსი


თავზარდაცემული, გულდათუთქული და გაუბედურებული ჯირისუფლები: ჰიტლერი, გიმლერი, გერიგნი და ჰებელსი უღრმესი მწუხარებით იუწყებიან მათი ნუგეშის იუნკერს ჰეინკელის-ქე მესხერშიტების მასიურ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე დაკრძალვა ხდება ყოველდღიურად ზღვისა და მდინარეების ფსკერზე და აგრეთვე ხმელეთზე.

# ერთი მხედის თავგანსაკუთრება


ნახ. ს. ნაღარიშვილისა




1. ეს აფთარი დაბალ ლობეს თავისუფლად გადაახტა. აიშვირა ზევით კუდი, თავი იქო, ატრაბახდა.



2. შემდეგ მართლაც რამდენიმე სხვა ზღუდენი გადალახა. კიდევ უფრო გაამაყდა, უძლივევლად თავი სახა.



3. მერე კუნძულს თვალი ჰკიდა, მაგრამ წყალმა შეაშინა. აქეთ ეცა, იქით ეცა, აღარ დადგა მაინც შინა.



4. დაეჯახა სსრა-ს ჰსურს დაპყრობა მისი ველის, მაგრამ შეცდა საზიზღარი მას სასტიკი ბედი ელის.

### ქურნალ ნიანგის ხალისმოფანათა საყურადღებო

ა. წ. 20 ივლისიდან შურნალი „ნიანგი“ გამოდის ყოველკვირეულად 8 გვერდის მოცულობით.

ხელისმომწერლები „ნიანგის“ მე-12 №-დან დაწყებული ყოველთვიურად მიიღებენ 4 ნომერს — ნაცვლად ორი ნომრისა. ჟურნალის საცალო ფასი: 50 კაპ. ყოველგვარი მიწერ-მოწერა და კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს რედაქციის ახალ ბინაზე შემდეგი მისამართით:

თბილისი, ჟორჯის ქ. № 5. მე-4 სართული. „ნიანგის“ რედაქცია.

41-310  
საქართველო  
საბჭოთა

# „ჯვაროსნები“

პიტლერმა ჯვაროსნული ომი გამოაცხადა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იგი ქვეყანას ატყუებს, თითქოს ამ ომში ევროპის ყველა ქვეყნები დებულობენ მონაწილეობას. სინამდვილეში კი პიტლერი-საგან ძალდატანების შედეგად ომი გამოგვიცხადეს იტალიამ, რუმინეთმა, უნგრეთმა და ლიხტენშტაინმა (გაზეთებთან)

ნახ. ნ. ნადარეიშვილისა.



ისეთი ძალით მებლანდებიან ფეხებში ჩემი ხელქვეითები, რომ აშკარად ვგრძნობ, ევროპის ყველა ხალხები მე მომყვებიან.